ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N08.11.07/10/153

ქ. თბილისი 20 დეკემბერი 2023 წ.

ერთის მხრივ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეობა (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი გამგებლის ნიკა ელისაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს „პრო ფიტნეს ჰაუსი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის მაია ყურაშვილის სახით, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და გამარტივებული შესყიდვების ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების საფუძველზე დებენ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ ,,ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;

1.2 ,,ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 ,,შემსყიდველი" -ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 ,,მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ასრულებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 ,,დღე", ,,კვირა", ,,თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

2. ხელშეკრულების საგანი და საფუძველი

2.1 ხელშეკრულების საგანია – **ისნის რაიონში, N202-ე უსინათლო ბავშვთა საჯარო სკოლისთვის გადასაცემად განკუთვნილი სპორტული ინვენტარის შესყიდვა.**

2.2 შესყიდვის საშუალება - გამარტივებული შეყიდვის საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და გამარტივებული შესყიდვების ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე.

2.3. CPV კოდი 37440000-ფიტნეს ტრენაჟორები.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **4 360 (ოთხი ათას სამასსამოცი)** ლარს, დღგ-ს ჩათვლით;

№	დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთ ფასი, ლარი	ჯამი, ლარი
1	ველო თხილამური (მომხმარებლის წონა 120 კგ.)	ცალი	1	1600	1 600
2	სარბენი ბილიკი (მომხმარებლის წონა 100 კგ.)	ცალი	1	2200	2 200
3	იოგამატი	ცალი	7	80	560
	სულ:				4 360

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება 2023 წლის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე;

4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით;

5.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს, ქ. თბილისის ისნის რაიონის გამგეობიდან წარმოადგენს გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილების თანამშრომლ(ებ)ი და შესაბამისი დარგის კურატორი გამგებლის მოადგილე.

6. საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი

6.1. საქონლის მიწოდები ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში;

6.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი: **ქ.თბილისი, სსიპ ქალაქ თბილისის N202 საჯარო სკოლა, გუთნის ქ. #6.**

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი სათანადო ხარისხით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0.02%-ის ოდენობით;

8.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

8.4. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისა ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით;

8.5 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში და წარმოადგინოს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

8.6 თუ, მიმწოდებლის მიერ არ იქნა წარმოდგენილი საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, შემსყიდველი ვალდებულია მიღება-ჩაბარების აქტით განსაზღვრული შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურებისას, ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა დაუქვითოს მიმწოდებელს, რის შემდეგაც მიმწოდებელს ჩაერიცხება დარჩენილი თანხა.

8.7 თუ შემსყიდველი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.3 პუნქტის მოთხოვნებს, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო, მიმწოდებლისათვის ჩასარიცხი თანხის 0,02%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8.8 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

9.4. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება მიღების განზრახვის შესახებ;

9.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება შეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერიდან და მოქმედებს **2024 წლის 30 იანვრის ჩათვლით.**

13. სხვა პირობები

13.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

13.2. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები.

13.3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ელექტრონულად და დადასტურებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და ელექტრონული შტამპით. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

13.4 ხელშეკრულებით განსაზღვრულ შესასყიდ საქონელზე, სადაც მითითებული იქნება კონკრეტული სასაქონლო ნიშანი, მოდელი, წარმოშობის წყარო ან მწარმოებელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) იგულისხმება „მსგავსი“ ან „ეკვივალენტური“.

13.5 „ხელშეკრულების“ მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს „ხელშეკრულების“ ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება. მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის დასათაურებაში ან დანომვრაში ცდომილების/სხვაობის არსებობის შემთხვევაში, გამოიყენება ამავე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის შესაბამისი შინაარსის მქონე მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი.

13.6 „ხელშეკრულების“ ტექსტში მექანიკური ან/და ტექნიკური შეცდომის ან/და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში „მხარეთა“ მიერ, აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი განხილული და განმარტებული უნდა იყოს „ხელშეკრულების“ შესაბამისი წინადადების (წინადადებების) ან/და შინაარსიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი არ შეესაბამება „ხელშეკრულების“ სათანადო წინადადებას/წინადადებებს ან შინაარს, მას (ხარვეზი/შეცდომა) „ხელშეკრულების“ შინაარსის განმარტებასთან დაკავშირებით არ ექნება (არ მიენიჭება) რაიმე მნიშვნელობა.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:
ისნის რაიონის გამგეობა
მის. ქ.თბილისი, ნავთლუღის ქუჩა №8-1
ხაზინის ერთიანი ანგარიში

კოდი TRESGE22
ს/კოდი 208 204 959

გამგებელი

_____ ნ. ელისაშვილი

მიმწოდებელი:
შპს „პრო ფიტნეს ჰაუსი“
მის.: ქ.თბილისი, ა. წერეთლის გამზირი N2
სს „საქართველოს ბანკი“
ა/ა GE17BG 0000 0005 3829 8609
კოდი BAGAGE22
ს/კოდი 405 559 220

დირექტორი

_____ მ. ყურაშვილი

Maia Kurashvili 01007012476

Digitally signed by Maia Kurashvili
Date: 2023.12.20 15:58:32